საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

ბრძანება

N 985-03
22/07/2024

ქ. თბილისი

2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე, გარდა სამაგისტრო პროგრამისა "ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში", სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების მიღებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღების დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 18 ივლისის N 971-03 ბრძანების გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 18 ივლისის №971-03 ბრძანებით, 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე გამოცხადებული მიღების ფარგლებში, მაგისტრანტობის კანდიდატებმა უნდა გააკეთონ ელექტრონული განაცხადი, 2024 წლის 12 აგვისტოდან 30 აგვისტოს 18:00 საათის ჩათვლით, რეგისტრაციის ბაზის საშუალებით შემდეგ ბმულზე: https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/masters

2. ბმულზე რეგისტრაციისას აპლიკანტმა უნდა ატვირთოს ქვემოთ მითითებული დოკუმენტები და ამასთანავე ცალკეულ სამაგისტრო პროგრამებზე დანართით განსაზღვრული განსხვავებული დოკუმენტაცია:

ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი) ასლი. უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი), შესაძლოა წარმოადგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, იმ

პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს;

გ) 1 ფოტოსურათი ზომით 3X4;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ე) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ვაჟებისთვის);

3. ინფორმაცია 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის, საბუთების მიღების, შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და პროგრამებზე მიღების მოთხოვნებისა და შეფასების სისტემის დოკუმენტები განთავსდეს ილიაუნის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 2 აგვისტოსი, ხოლო დეტალური ინფორმაცია მაგისტრანტობის კანდიდატთა სიების, გამოცდების ზუსტი თარიღებისა და საგამოცდო აუდიტორიების მითითებით - არაუგვიანეს 2 სექტემბრისა.
4. 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველი, რეგისტრაციაგავლილი კანდიდატებისათვის შიდასაუნივერსიტეტო საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2024 წლის 2 სექტემბრიდან 9 სექტემბრის ჩათვლით.
5. ინგლისური ენის ტესტირება B2 კომპეტენციის დასადგენად პროგრამებზე „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“, „თანამედროვე საქართველოს ისტორია“ და „კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია“ ჩატარდეს 2024 წლის 2 სექტემბერს, ხოლო გერმანული ენის ტესტირება B2 კომპეტენციის დასადგენად პროგრამაზე „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ ჩატარდეს 2024 წლის 2 სექტემბერს.
6. პროგრამების „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“, „თანამედროვე საქართველოს ისტორია“, „კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია“ მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ ინგლისური ენის გამოცდაზე მიღებული შეფასებები და პროგრამის „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ გერმანული ენის გამოცდაზე მიღებული შეფასებები, საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 2024 წლის 3 სექტემბრის 20:00 საათისა.
7. მაგისტრანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი ინგლისური ენის ტესტირების შედეგების შესახებ პროგრამებზე „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“, „თანამედროვე

საქართველოს ისტორია“, „კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია“ და გერმანული ენის ტესტირების შედეგების შესახებ პროგრამაზე „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ უნდა გააგზავნოს 2024 წლის 3 სექტემბრის 20:00 საათიდან 4 სექტემბრის 15:00 საათამდე შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: graduateschool@iliauni.edu.ge

8. ინგლისური და გერმანული ენის გამოცდაგავლილი მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები, საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე 2024 წლის 5 სექტემბერს.
9. პროგრამებზე „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „თანამედროვე საქართველოს ისტორია“, „კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია“ და „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო გამოცდების შემდეგ ეტაპზე მონაწილეობის გაგრძელებას შეძლებენ მხოლოდ უცხო ენის გამოცდაში ზღვარგადალახული კანდიდატები.
10. პროგრამებზე „პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები“, „საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება“, „რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)“, „თანამედროვე საქართველოს ისტორია“, „კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია“ და „გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ უცხო ენის გამოცდაში ზღვარგადალახული კანდიდატებისთვის შიდასაუნივერსიტეტო დარგობრივი გამოცდა ჩატარდეს 2024 წლის 6 სექტემბრიდან 9 სექტემბრის 15:00 საათამდე. დეტალური ინფორმაცია კანდიდატთა სიების, გამოცდების ზუსტი თარიღებისა და საგამოცდო აუდიტორიების მითითებით განთავსდეს არაუგვიანეს 5 სექტემბრის 18:00 საათისა.
11. გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები, საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, განთავდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს 2024 წლის 9 სექტემბრის 20:00 საათისა.
12. მაგისტრანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგების შესახებ უნდა გააგზავნოს 2024 წლის 9 სექტემბრის 20:00 საათიდან 10 სექტემბრის 18:00 საათამდე შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: graduateschool@iliauni.edu.ge
13. ინფორმაცია პროგრამების მიხედვით სააპელაციო გამოცდების განრიგისა და ადგილმდებარეობის შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე 2024 წლის 11 სექტემბერს.
14. საპრეტენზიო განაცხადების განხილვა და განმეორებითი გამოცდები ჩატარდეს 2024 წლის 12 ან/და 13 სექტემბერს.
15. 2024 წლის 13 სექტემბერს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსების მიზნით მიეწოდოს გამოცდებგავლილ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებები, აპელაციის შედეგების გათვალისწინებითა და საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით, ასევე რეიტინგული სია.

16. მაგისტრანტობის იმ კანდიდატებთან, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ერთიანი სამაგისტრო და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები და რეიტინგული სიის მიხედვით მოიპოვეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების უფლება, ხელშეკრულებები გაფორმდეს 2024 წლის 14 სექტემბრიდან 18 სექტემბრის 12:00 საათამდე (მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. №32).
ა) ძირითადი სიის წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმება იწარმოებს 14, 15 და 16 სექტემბერს;

ბ) სათადარიგო სიის წარმომადგენლებთან ხელშეკრულების გაფორმება იწარმოებს 17 და 18 სექტემბრის 12:00 საათამდე.

17. მაგისტრანტობის კანდიდატმა ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს რეგისტრაციის ბაზაში ატვირთული ყველა დოკუმენტი და დამატებით ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები. ასევე, თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი:
ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი. უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების შემთხვევაში – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტი;

ბ) მაგისტრანტობის კანდიდატმა, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, წარმოადგინოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობა, სადაც მითითებულ უნდა იყოს კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს;

გ) ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიზნით საბუთების მინდობილი პირის მიერ წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა უნდა წარმოადგინოს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა;

დ) ფაკულტეტის მოთხოვნის შემთხვევაში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურების დოკუმენტი;

ე) 1 ფოტოსურათი ზომით 3X4.

18. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს.

ნინო მატარაძე

დეკანი